საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრი

ბრძანება N 2-904

ქ. თბილისი

08/11/2018

ქ. ქუთაისის ტერიტორიაზე, შპს „ქუთაისის ავტომექანიკური ქარხანა“-ს, „ავტომექანიკური ქარხნის საჩამომსხმელო საამქროში ინდუქციური ღუმელის მოწყობასა და ექსპლუატაციაზე“ სკოპინგის დასკვნის გაცემის შესახებ

„გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-9 მუხლის, ამავე კოდექსის I დანართის 6-ე პუნქტისა და მე-5 მუხლის მე-12 პუნქტის საფუძველზე

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. გაიცეს ქ. ქუთაისის ტერიტორიაზე, შპს „ქუთაისის ავტომექანიკური ქარხანა“-ს, „ავტომექანიკური ქარხნის საჩამომსხმელო საამქროში ინდუქციური ღუმელის მოწყობისა და ექსპლუატაციის პროექტზე სკოპინგის დასკვნა #45; 26.10.2018 წ.
2. შპს „ქუთაისის ავტომექანიკური ქარხანა“-მ სავალდებულოა გზშ-ს ანგარიშის მომზადება უზრუნველყოს #45; 26.10.2018 წ. სკოპინგის დასკვნის შესაბამისად;
3. ბრძანება დაუყოვნებლივ გაეგზავნოს შპს „ქუთაისის ავტომექანიკური ქარხანა“-ს;
4. ბრძანება ძალაში შევიდეს შპს „ქუთაისის ავტომექანიკური ქარხანა“-ის მიერ ამ ბრძანების გაცნობისთანავე;
5. სკოპინგის დასკვნის გაცემიდან 5 დღის ვადაში სკოპინგის დასკვნა განთავსდეს სამინისტროს ოფიციალურ ვებგვერდზე და ქ. ქუთაისის მერიის აღმასრულებელი ორგანოს საინფორმაციო დაფაზე;
6. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ. N6) მხარის მიერ მისი ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში.

ლევან დავითაშვილი

მინისტრი